კარგ სტილში
“დინამო” თბილისი – “ზენიტი” ლენინგრადი

1 ივლისს თბილისის “დინამოს” სტადიონზე გაიმართა “ა” კლასის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ “დინამო” (თბილისი) – “ზენიტი” (ლენინგრადი).

მაღალი ტემპერატურის მიუხედავად, მატჩის დასაწყისი სწრაფ ტემპში წარიმართა. ორივე გუნდი თავგამოდებით იბრძოდა მოედნის შუა ნაწილის დაპყრობისა და საერთო უპირატესობის მოპოვებისათვის. ეს ბრძოლა კარგა ხანს მიმდინარეობდა და დაახლოებით 12–15 წუთის განმავლობაში ამ მიზანს ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია.

შემდეგ მდგომარეობა თანდათან გამოირკვა. ლენინგრადელებმა ვერ შეძლეს საერთო ინიციატივის ხელში აღება და ხანგრძლივი შეტევის ორგანიზაცია, ვინაიდან მათი დაცვის მთავარ მოთამაშეს ვოინოვს (№5, სსრ კავშირის პირველი ნაკრების ძირითადი მოთამაშე) კონკრეტული და რთული დავალება ჰქონდა მიცემული – მას უნდა ჩაეკეტა ღოღობერიძე. საამისოდ ვოინოვს ძალების უკიდურესი დაძაბვა დაჭირდა. იგი ფეხდაფეხ დასდევდა დინამოელთა კაპიტანს და თავისი გუნდის საერთო ანსამბლს გამოთიშული იყო. მეორე ნახევარმცველი კრავეცი იძულებული იყო ღრმა ზურგში დაეხია, ვინაიდან იქ “სტარტზე” გამუდმებით იდგა კ. გაგნიძე (№8) და ყოველ ხელსაყრელ მომენტში სწრაფად გადიოდა კართან. ამის შედეგად “ზენიტის” თავდასხმა მოწყვეტილი აღმოჩნდა თავის დაცვას და ძირითადად მხოლოდ შემთხვევითი ბურთებით იკვებებოდა. მათი შეტევები მწვავე, მაგრამ მეტად ხანმოკლე იყო.

ამ დღეს ზუსტად, გეგმიანად მოქმედებდა “დინამოს” დაცვა, სადაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ხოჭოლავას (№4) შესანიშნავი თამაში. მან თითქმის მთლიანად ჩაკეტა მოწინააღმდეგის ყველაზე ძლიერი თავდამსხმელი ა. ივანოვი. მშვიდად და დამაჯერებლად თამაშობდა რუსაძე (№2), ნაყოფიერად მუშაობდა ვარდიმიადი (№5). მხოლოდ ძიაპშპა (№3) უშვებდა ტაქტიკური ხასიათის შეცდომებს, როცა იგი მოედნის სიღრმეში მიჰყვებოდა ბონდარენკოს და მერე უკან ვეღარ ასწრებდა.

პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა, თუმცა თბილისელებს ამის შესაძლებლობა რამდენჯერმე ჰქონდათ. ტაიმის დასასრულს ცხადი გახდა, რომ “დინამომ” პირველი ამოცანა – საერთო ინიციატივის მოპოვება – შეასრულა, შესვენების შემდეგ დინამოელები გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ.

უკვე პირველ წუთებზევე დინამოელთა ხუთივე თავდამსხმელი ზედიზედ გავიდა ლენინგრადელთა საჯარიმო მოედანზე, მეკარე დენისოვი მაშინვე ჩაება თამაშში. მალე ღოღობერიძე გაცდა თავის “დარაჯს” და შორიდან დაბალი ბურთი გაუჭრა კალოევს (№9). ეს უკანასკნელი სწრაფად გავიდა მცველებს შორის, მაგრამ სწორედ კარში დარტყმის მომენტში მას წამოეწია შულდეშოვი (№4), რომელმაც დაასწრო კალოევს და ბურთი საკუთარ კარში დაარტყა. მეკარე ამ დროს გარეთ იყო გამოსული და ბურთი შეუფერხებლად გავიდა კარში – 1:0.

“ზენიტმა” სცადა თამაშის გამოსწორება, მაგრამ თბილისელთა შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. ვოინოვი პირველ ტაიმში ასე თუ ისე უმკლავდებოდა ღოღობერიძეს, თამაშის მეორე ნახევარში კი დინამოელი ბრწყინვალედ თამაშობდა. იგი სურვილისამებრ გადიოდა თავის ზონაში. მალე მან კოტრიკაძის (№7) გადაცემიდან ზუსტად და ძლიერად გაიტანა მეორე გოლი – 2:0.

ამ წარმატებამ ზედმეტი დამშვიდება შეიტანა “დინამოს” დაცვაში. სტუმრებმა შეძლეს ათიოდე წუთით გადასულიყვნენ შეტევაზე და ამ ხნის განმავლობაში “დინამოს” მეკარე პირაევმა სამჯერ მეტად გაბედულად და საზრიანად აიღო უაღრესად ძნელი ბურთები.

გაისმა გონგის ხმა. გაგნიძემ მარჯვენა ფრთიდან ძლიერად მიაწოდა ბურთი, რომელიც ღოღობერიძემ საწინააღმდეგო ფლანგზე მიიღო და ტექნიკურად ძნელი დარტყმით ცენტრში გადასცა კოტრიკაძეს. მეკარესთან შეტაკებაში კოტრიკაძემ მოასწრო კარში დარტყმა – 3:0.

თბილისელებმა კარგ სტილში ჩაატარეს მატჩი.

დუბლშემადგენლობათა შეხვედრაში ძლიერი გუნდი გამოიყვანეს ლენინგრადელებმა. მათ შორის იყვნენ მოთამაშეები ძირითადი შემადგენლობიდან: სევეროვი, კატროვსკი, მარიუტინი, დობრიკოვი, ვინოგრადოვი. თბილისელებმა თამაშის პირველი ნახევარი თავის შესაძლებლობაზე დაბლა ჩაატარეს. მეორე ტაიმში ისინი გაცილებით გააქტიურდნენ და ორჯერ მესხმა და ერთხელ მელაშვილმა გაიტანეს ბურთები. თბილისის “დინამოს” დუბლიორები ამჟამად პირველ ადგილზე არიან.

კ. ნოზაძე.
“ლელო”, 3 ივლისი, 1955 წ.